# თბილისელი სომეხი თვითნასწავლი მხატვრები და კ. გრიგორიანცის უცნობი ტილო[126]

**ქეთევან ოთარაშვილი**
საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის
სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი 0108, გუდიაშვილის ქ.5/7
+995568707242. kotarashvili@yahoo.com
ORICID: 009-0003-8849-6353

**ანოტაცია**

საქართველოში სომხურ მხატვრობას დიდი ხნის ისტორია აქვს. XVII ს-დან თბილისში არსებობდნენ სომეხ მხატვართა საგვარეულოები, რომელთა შორის უძველესია ჰოვნათანიანების ოჯახი. XX საუკუნის დასაწყისში თბილისში უკვე მოღვაწეობდა სომეხ მხატვარ ქალთა ჯგუფი. თბილისის სომხური სამხატვრო სკოლის ჩამოყალიბებაში განუზომელი წვლილი შეიტანეს როგორც რუსეთსა და ევროპაში განსწავლულმა პროფესიონალებმა, ასევე თვითნასწავლმა დიდოსტატებმა ვ. ხოჯაბეკოვმა, კ. გრიგორიანცმა, ვ. ელიბეკიანმა.

კ. გრიგორიანცი, ფიროსმანის თანამედროვე პრიმიტივისტი თვითნასწავლი მხატვარი, სახასიათო ქართული ფერწერით ქმნიდა პორტრეტებსა და ნატურმორტებს, აკეთებდა აბრებს, ხა-

[126] კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში [FR -21 – 8081] „თბილისის ეთნორელიგიური მოზაიკა“ (1801-1921წლებში)

ტავდა დუქნებსა და სამიკიტნოებს. სერგო კლდიაშვილის გადმოცემით, კ. გრიგორიანცი 12 წიგნის ავტორიც ყოფილა. ჩვენამდე კი შემორჩა „ძველი თბილისის იშვიათი ამბები“, რომელიც 2011 წელს გამოიცა და მასში შეტანილია იმ დროისთვის ცნობილი ორმოცივე ნახატი. მათ შორის არ არის კ. გრიგორიანცის აქამდე უცნობი „თამარ მეფე და შოთა რუსთაველი“, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 2022 წ. შეიძინა კერძო პირისგან. თვითნასწავლი მხატვარი, ვ. ხოჯაბეგოვი, ძირითადად, ხატავდა ჟანრულ სცენებს. ძალიან საინტერესოა „ნეფის ცეკვა მშობლების საფლავზე“. ასეთი ტრადიციაც ყოფილა, ყარაჩოღელი ნეფე მიდიოდა თავის მამის საფლავზე და ზურნაზე ცეკვით გამოსთხოვდა დალოცვას. ეს ტრადიცია მხოლოდ ვანო ხოჯაბეგოვის ნახატზეა შემორჩენილი. გრიგორიანცის, ხოჯაბეგოვისა და ელიბეკიანის სურათებზე აღბეჭდილი ძველი თბილისი აცოცხლებს მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისის თვითმყოფად სახეს, ქალაქურ ტრადიციებს, თბილისელთა სამოსსა და ქალაქურ გასართობებს. თბილისელი თვითნასწავლი სომეხი მხატვრების ნაივური ნამუშევრები თბილისური ცხოვრების ერთგვარი მატიანეებია.

**საკვანძო სიტყვები:** კ. გრიგორიანცი; „თამარ მეფე და შოთა რუსთაველი“; „ძველი თბილისის იშვიათი ამბები“; ვ. ელიბეკიანი; ვ. ხოჯაბეკოვი.

## შესავალი

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე, მრავალსაუკუნოვანმა იძულებითმა თუ გაცნობიერებულმა ურთიერთობებმა ქრისტიანულ ბიზანტიასა თუ მუსლიმანურ ქვეყნებთან, ამ ურთიერთობების თანმხლებმა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა საქართველოს მოსახლეობის მრავალეთნკურობა. თბილისი მუდამ გამოირჩეოდა ეთნოსთაშორისი ურთიერთობის მაღალი კულტურით, ამას მოწმობს

როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი წერილობითი წყაროები, ყოფითი კულტურა თუ სხვა ისტორიულ-ეთნოლოგიური დოკუმენტები. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ შექმნა ტრადიციათა და კულტურათა ერთგვარი მოზაიკა, თბილისური მულტიკულტურა - სხვადასხვა კულტურის უკონფლიქტოდ თანაარსებობის, შერევის და იმავდროულად, ავტონომიურად განვითარების უნიკალური მოვლენა.

საქართველოში XIX საუკუნე დაიწყო გარდამტეხი მოვლენებით. 1801 წ. ქართული სახელმწიფოებრიობის მარცხი მყისიერად აისახა დედაქალაქის ბედზე - თბილისი საგუბერნიო ქალაქად იქცა, აქ განთავსდა კავკასიის მთავარმმართველისა და მეფისნაცვლის რეზიდენცია, აქ, და არა ერევანში, მოისწრაფოდნენ ოსმალეთსა თუ ირანში მცხოვრები სომხები, აქ დაარსეს სასულიერო სასწავლებელი, სომხური გაზეთები, სომხური თეატრი... თუკი XVIII ს. და XIX ს. დასაწყისში თბილისელი სომხების ენა იყო ქართული, ისინი ქართულად საუბრობდნენ ოჯახში, ქართულად ადგენდნენ საბუთებს და ხელსაც ქართულად აწერდნენ, უკვე XIX ს. ბოლოს მათ ათვისებული ჰქონდათ რუსული და სომხური ენები.

ისტორიულად ეთნიკურად ისედაც მრავალფეროვან საქართველოში რუსეთის იმპერია, თავისი პოლიტიკური სტრატეგიიდან გამომდინარე, გამიზნულად ცვლიდა ეთნოსურათს - ხელს უწყობდა აქ სხვადასხვა ხალხების ჩამოსახლებას. თბილისის ქუჩები ყოველთვის იყო ხალხმრავალი. თბილისელები ქუჩაში მუშაობდნენ, ვაჭრობდნენ, ისვენებდნენ, სეირნობდნენ, ურთიერთობდნენ... თბილისის ეთნიკურ შემადგენლობას კარგად ახასიათებს ი. ევლახოვი: „ხალხი მოძრაობს, ხმაურობს, ფუსფუსებს. ერთმანეთში ირევა კოსტუმები, სახეები და მორთულობა. ქართველი, სპარსელი, ოსი, ლეკი; ჩოხები, ჩერქეზულები, ჩალმები, ნაბდები სწრაფად ელავენ თვალწინ და ვერც კი ასწრებთ გამვლელთა დათვალიერებას. აი, ქალაქის გარეუბნიდან მოსული ქალები კარაქით, ერბოთი, ლორითა და რძით. აი, ქართველი ებრ-

აელები, ფართლის, ქალთა ხელსაქმის, საწვრილმანოთა დამტა-რებელნი“ (Евлаховъ, 1846: 2-3).

თბილისის მოსახლეობის ასეთი „აჭრელება“ ცარიზმის ინ-ტერესებში შედიოდა. რუსეთმა თბილისის ეთნიკურ ჯგუფებს შორის თანაფარდობის იმპერიისთვის მისაღები ბალანსი შექმნა. ცარიზმის დემოგრაფიული პოლიტიკის აგრესიული ხასიათი იმ-აშიც ვლინდებოდა, რომ თუ მანამდე ეთნიკური ჯგუფები ქმნი-დნენ უწყინარ კულტურულ-ენობრივ ჯგუფს, მეფის რუსეთი ცდილობდა ეთნიკური სტრატიფიკაციის და ეთნიკურობის პო-ლიტიზირების გზით ლინგვისტურ-კულტურული ფენომენი გადაექცია პოლიტიკურ აქტორად. თუმცა თბილისმა, შეძლო მეფის რუსეთის მიერ გაღვივებული ნაციონალიზმის მიმართუ-ლების შეცვლა და ვერტიკალურად - ცენტრალური ხელისუფ-ლების წინააღმდეგ განწყობა. თბილისს თავს აფარებდნენ რუსე-თიდან ბოლშევიკურ ტერორს გამოქცეული ავანგარდისტი მწერ-ლები და მხატვრები; ჯოტოს[127] და დ. კაკაბაძის ბიოგრაფიებში ერთნაირად აირეკლა საბჭოთა ტერორის შედეგები.

1916 წ. თბილისში დაფუძნებული „სომეხ მხატვართა კავ-შირის“ გამგეობის წევრები[128], ისევე როგორც 1921 წ. შექმნილი „ჰაიარტუნის“ გამგეობის წევრები[129], იყვნენ პროგრესულად მოა-ზროვნე შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც არ დაემორჩილნენ იმპერიის ნაციონალისტურ პრო-პაგანდას. თუმცა XIX ს. დასაწყისიდანვე, ამიერკავკასიის ადმი-ნისტრაციულ ცენტრად გამოცხადებიდან, თბილისი შემოქმე-დებით კერად იქცა. აქ თავმოყრილმა სომეხმა ინტელიგენციამ მიზნად დაისახა, რომ ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინათ ეროვნული იდეის წინ წამოსაწევად.

---

[127] ჯოტო -გ. გრიგორიანი (1897, თბ.–1976, ერევანი). რეპრესიების შიშით ჯოტომ ერთ ღამეში დაწვა 300-400 ტილო. მხატვარი ხშირად მიმართავს ბავშვობის მოგონებებს, ასახავს ძველი ტფილისის აურზაურსა და მოძრაობას: „ნატურმორტი „ძველი ტიფლისი“, „დედა და მე“, „კინტო ჩემი ქუჩიდან“.

[128] გ. შერბაბჩიანი, ა. აკოფიანი, ვლ. სურენიანცი, ე. თათევოსიანი, ვ. ხოჯაბეგოვი და ალ. შირვანზადე.

[129] ვ. თუმანიანი, რ. მელიქიანი, ლ. კალანტარი და გ. შერბაბჩიანი.

**მეთოდი**

კვლევის პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეჯერებისა და შედარებითი ანალიზის მეთოდი.

**შედეგი**

მუშაობის პროცესში გამოიკვეთა თვითნასწავლი სომეხი მხატვარები, ამოცნობილ იქნა კ.გრიგორიანცის მანამდე უცნობი ნახატი, რომელიც არ იყო შეტანილი მისი ნამუშევრების სიაში.

**მსჯელობა**

იმპერიის შემოსვლამდე საქართველოში სომხურ მხატვრობას დიდი ხნის ისტორია გააჩნდა. უკვე XVII ს-დან თბილისში არსებობდნენ სომეხ მხატვართა საგვარეულოები, რომელთა შორის უძველესი, ჰოვნათანიანების ცნობილი ოჯახი XVII ს-დან ცხოვრობდა თბილისში[130]. ჰოვნათანიანების ოჯახიდან ცნობილია 7 მხატვარი: ნაღაში, აკოფი, არუთიუნი, ჰოვნათანი, მიკირტუმი, აკოფი და აგაფონი (Дзуцова, 2014: 110-144). ოჯახის უხუცესი - ჰოვნათან ნაღაში საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის სასახლის კარის მხატვარი იყო, ხოლო ყველაზე ცნობილი - თბილისური პორტეტული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფერმწერი ჰაკობ ჰოვნათანიანი[131]. მოგვიანებით სომეხ მხატვართა საგვარეულოებს დაემატა ბაჟბეუქ-მელიქიანების, ბაიახჩევების, დილბარიანების, მანოიანების, ელიბეკიანების, მირზოიანების და სხვა მხატვართა ოჯახები...

თბილისში დამკვიდრებულ სომეხ მხატვართა შემოქმედებას უწყვეტ ხაზად გასდევს თბილისის სიყვარული. მათი შემოქმედების ემოციურ ფონს ქმნიდა თბილისის ლანდშაფტი, არქიტექტურა, კოლორიტული მოქალაქეების ერთგვარად თეატრალიზებული ყოფა. ხოლო პატრიოტული ინტელიგენციის აქტ-

---

[130] ნაღაშის შვილები და მოწაფეები უმთავრესად წიგნის ილუსტრაციაზე მუშობდნენ.

[131] ჰ. ჰოვნათანიანი (1806, თბ. - 1886, ირანი) ნამუშევრები: ნ. თუმანიანის, ე. გურგენბეკიანის (სომხეთის სურათების გალერეა, ერევანი), გ. კარაჯიანის (აღმ. ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი), მელიქიშვილების, მიზანდარის (საქ. ხელოვნების მუზეუმი, თბილისი) პორტრეტები.

იურობა თავისებურ მიმართულებას აძლევდა სომეხ მხატვართა შემოქმედებას.

1887 წ. დაარსებული „კავკასიის ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოების“ გამოფენებში სომეხი მხატვრები მონაწილეობდნენ, როგორც ქართული კულტურის ორგანული ნაწილი. XX ს. დასაწყისში თბილისურ გარემოში სომხები თავს თბილისის კულტურის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ და საკუთარი შემოქმედება თბილისის კულტურული სივრცის მიღმა ვერც წარმოედგინათ.

1922 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებისთანავე, აქ მუშაობდნენ ცნობილი სომეხი მხატვრები: ჰ. შამშინიანი, ჰ. ჰაკობიანი, ვ. სურენიანცი, ვ. გაიფეჯიანი, ი. კარალიანი; აქ სწავლობდნენ ე. ისაბეკიანი, დ. ნალბადიანი, რ. ლორის-მელიქოვი, რ. ისრაელიანი, რ. სიმონიანი, რ. საფაროვი, ჰ. ღარიბჯანიანი, ს. კირაკოზოვი, თ. ნალბანდიანი, გრ. მირზოევი, ა. კოჯოიანი, ს. კაშხიანი და სხვები. ქართველ მხატვრებთან ერთად ისინი თბილისური ფერწერის ერთიან სკოლას წარმოადგენდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სომეხ მხატვრებს. 1919 წელს შედგა ერვანდ ქოჩარის პირველი გამოფენა; 1919 წელს მოეწყო ალ. ბაჟბეუქ-მელიქოვისა და ლადო გუდიაშვილის ერთობლივი ექსპოზიცია ჟურნალ „არსის“ რედაქციაში (ზაალიშვილი, 2011: 6-11).

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში უკვე მოღვაწეობდა სომეხ მხატვარ ქალთა ჯგუფი: ანასტასია დანდუროვი, ნინა თამამშევა, ელ. დიგუროვა-ქიქოძე, ჰერმინე ხაჩოიანი, მადლენ ამირხანოვა, ნადეჟდა ალექსანიან-შახაზიზი, ავანგარდისტი - უნიჭიერესი გრაფიკოსი ემა ლალაევა-ედიბერიძისა (ლალი).[132]

---

[132] ემა ლალაიანცი-ედიბერიძე (1904, თბ.-1991, თბ.) 1924-1928 წ. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე, პროფესორ ი. შარლემანის კლასში. 1938 წელს მისი მეუღლე, გიორგი ედიბერიძე დახვრიტეს, ამიტომ ემა მხატვართა კავშირიდან გარიცხეს და მიუხედავად ისეთი ცნობილი მხატვრების მცდელობისა, როგორებიც იყვნენ თ. აბაკელია, ს. ქობულაძე, მ. გოცირიძე, ა. ქუთათელაძე, უ. ჯაფარიძე... მას გამოფენა აღარ ჰქონია.

თბილისის სომხური მხატვრობის სურათი არ იქნება სრული ცნობილი ფოტოხელოვანების - ალ. სააკოვის (თბილისის და მისი მოქალაქეების ამსახველი ფოტოსერიების ავტორი), იური მეჩითოვის (თბილისისადმი და ს. ფარაჯანოვისადმი მიძღვნილი ფოტოკომპოზიციების შემქმნელი), ალ. არუთიუნოვის, ს. დარჩინიანის („თბილისი. სომხური ეტიუდები“), ი.ტერტეროვის ხსენების გარეშე.

საქართველოს სომეხ მხატვართა შემოქმედება იმდენად მრავალფეროვანია, რომ წარმომავლობის და მოღვაწეობის არეალის გარდა, თითქმის, არაფერი აქვთ საერთო. მათ ერთი თემატიკა და ერთი დიდი ვნება აერთიანებთ - უზარმაზარი სიყვარული თბილისის მიმართ. თბილისის სომხური სამხატვრო სკოლის ჩამოყალიბებაში განუზომელი წვლილი შეიტანეს როგორც განსხვავებული ხელწერის მქონე, რუსეთსა და ევროპაში განსწავლულმა პროფესიონალებმა: გ. ბაშინჯალიანმა, გ. შარბაბჩიანმა, ე. თადევოსიანმა, ა. შამშიანმა, ჰ. ჰაკობიანმა, ვ. სურენიანცმა, ვ. გაიფეჭიანმა, ი.კარალიანმა და XX ს-ის აღიარებულმა ოსტატებმა - მარტიროს სარიანმა, ერვანდ ქოჩარმა, გიორგი აკულოვმა, არშილ გორკმა, ასევე თვითნასწავლმა დიდოსტატებმა ვ. ხოჯაბეკოვმა, კ. გრიგორიანცმა, ვ. ელიბეკიანმა. მათ, როგორც თბილისის „შემოქმედმა ისტორიკოსებმა“, თბილისური ყოფა-ცხოვრება გამორჩეული სიცხადით გადმოიტანეს ტილოზე.

სამართლიანი იქნება, თუ მათზე საუბარს კარაპეტ გრიგორიანცით დავიწყებთ, ვინაიდან, მის შემთხვევაში ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრების ამსახველი შემოქმედება გვხვდება როგორც სამხატვრო, ასევე თეატრალურ და სალიტერატურო წრეებში. ეს იყო ფიროსმანის თანამედროვე პრიმიტივისტი თვითნასწავლი მხატვარი, თუმცა თავის დროზე ფიროსმანზე უფრო მეტ შეკვეთას იღებდა. ფიროსმანის მსგავსად, შესრულებული აქვს ისტორიულ პირთა პორტრეტები. ფიროსმანის მსგავსი, სახასიათო ქართულ ფერწერით ქმნიდა პორტრეტებსა და ნატურმორტებს, აკეთებდა აბრებს, ხატავდა დუქნებსა და სამიკიტნოებს. მოუხატავს პუშკინის ქუჩაზე მდებარე იმ დროისთვის ცისფერ-

ყანწელთა თავშეყრის ადგილი, ცნობილი სამიკიტნო „სიმპატია“, მირიანაშვილის ღვინის სარდაფი, ძმები მათიაშვილების რესტ-ორანი რიყეზე, მიხაკა ვარსიმაშვილის ღვინის სარდაფი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა თბილისური არტისტული და თეატრა-ლური ცხოვრების ნაწილი იყო.

„კავკასიის კალენდრის“ 1899 წლის გამოცემაში მითითე-ბულია მხატვრის გვარი და მისამართი: ტფილისი, აბას-აბადის მოედანი, თავად არღუთინსკი-დოლგორუკოვის სახლი. 1890 წელს ჯვრის მამის ქუჩაზე გაუხსნია საკუთარი სახელოსნო, სად-აც უამრავ ხალხს იზიდავდა. მუშაობდა, ძირითადად, დიქტზე ზეთით. ავტოგრაფი „კარაპეტ გრიგორიანცი. ძველი ტფილისი“ მხატვრის თითქმის ყველა ნახატზე გვხვდება. ნახატებში გვხვ-დება იმ დროის თბილისისათვის დამახასიათებელი ტიპაჟები: კინტოები, ჩარჩები. კ. გრიგორიანცის ყველაზე მეტი ნახატი საქ-ართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება: სულ შემორჩენილია კარაპეტ გრიგორიანცის 40 ნამუშევარი: ამათგან, მხოლოდ ერთი ინახება ერევანში, ექვსი – საქართველოს ხალხური და გამოყე-ნებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ოცდაცამეტი კი – საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, რომლის ინვენტარიზაციის წიგნის მიხედვით, 1935 წელს თავად მხატვარს მიუტანია.

ი. გრიშაშვილი „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰე-მაში“ (გრიშაშვილი, 1927:141-143), კარაპეტ გრიგორიანცს ახსენ-ებს არა როგორც მხატვარს, არამედ როგორც ლიტერატორს - 1910 წელს გამოცემული ლექსების კრებულის ავტორსა (გრიგორია-ნცი, 2010) და სომხურად „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს.[133]

აღსანიშნავია, რომ კ. გრიგორიანცი მშობლიურ ენად ქარ-თულს მიიჩნევდა და არამართებულად მიაჩნია რუსულ ენაზე სწავლება, წუხს ქართული ენის შერყვნისა და გაღარიბების გამო: „ამგვარმა რუსის დევნამ ქართული ენა იქამდისინ მიაყენა, რომ

[133] კ. გრიგორიანცს სურდა სომხური თეატრის სცენაზე დაედგათ ვეფხისტყაოსანი, ამიტომ სრულად თარგმნა პიესის სახით, თუმცა თეატრის ხელმძღვანელობამ, სირთ-ულის გამო, სამომავლოდ გადადო მისი დადგმა.

ძველი ქართული ერთიანად დაიკარგა და ამღვრეული ენა შემოვიდა. ეხლანდელი ქართული ენა არის არაბულიდან, სპარსულიდან, სომხურიდან და ევროპიელთა ენებიდან ნასესხები... ქართველებსაც ოდესმე ქონიათ საკუთარი სუფთა ენა. ძველს დროში სომეხი პოეტებიც იყვნენ საქართველოში, რომლებიც წმინდა გაურეველ ქართულ ენას ხმარობდნენ“ (გრიგორიანცი, 2011: 83).

სერგო კლდიაშვილის გადმოცემით, კ.გრიგორიანცი 12 წიგნის ავტორი ყოფილა. ტექსტები თითქმის მთლიანად დაკარგულია. შემორჩა „ძველი თბილისის დაუჯერებელი ამბები“, რომელიც ხელნაწერის სახით ლიტერატურის მუზეუმში მწერალ სერგო კლდიაშვილს 1944 წელს შეუტანია. წიგნის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ ავტორი ეთნოგრაფიულ მასალას სხვისგან კი არ მოიპოვებდა, არამედ თბილისურ ყოფაში იყო გაზრდილი, თბილისური ყოფის თვითმხილველი და თანამონაწილეა. მსგავსი წიგნებით ქართველი მკითხველი დიდად განებივრებული არ არის. ის დეტალურად აღწერს, თუ როგორ იყო მოწყობილი სახლები, როგორ შემოვიდა ხმარებაში ჭრაქი, ელექტრონი, როგორ ტანისამოსს ატარებდნენ თბილისელები, რა ვითარება იყო ქარხნებში, სად რამდენი იყო ხელფასი, სად და როგორ ერთობოდნენ, როგორ სჯიდნენ დამნაშავეებს, რა იყიდებოდა ბაზრებში, მოგვითხრობს რკინიგზის გაყვანაზე, კორუფციაზე, „ბუნტზე ნალოგის გამოთ ბაშბეუქ-მელიქოვის ქალაქის თავათ ყოფნის დროს“, მეხის დაცემაზე, ბუხარის ემირის სტუმრობაზე თბილისში, გრიგორ არწრუნის შთამბეჭდავ დასაფლავებაზე, ავაზაკ ტატო წულუკიძის საქმეებსა და სიკვდილით დასჯაზე, მტკვრის ადიდებაზე, გველისგან ღვინის დაშხამვაზე და რასაც ძალიან იშვიათად ვხვდებით – აღწერს სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა, მათ შორის მეძავების საქმიანობას თბილისში. უნდა ითქვას, რომ აღწერს არა გაკვრით და ზოგადად, არამედ ყველა თემას ცალკე თავი აქვს დათმობილი.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმმა 2011 წელს გამოსცა კ. გრიგორიანცის „ძველი თბილისის იშვიათი ამბები“, რომელსაც ახლავს ავტორის ბიოგრაფია.

აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების ტექსტის და ბიოგრაფიის ხელ-წერა ერთნაირია, მაგრამ ხელნაწერი არ ეკუთვნის ავტორს. ამის თქმის საფუძველს იძლევა მესამე პირში დაწერილი ბიოგრაფია. არსებობს ვარაუდი, რომ ის სერგო კლდიაშვილის დაწერილი ან გადაწერილია. წიგნი გაფორმებულია ავტორის ნახატებით  და მასში შეტანილია იმ დროისთვის ცნობილი ყველა ნახატი. მათ შორის არ მოხვდა კ. გრიგორიანცის აქამდე უცნობი „თამარ მეფე და შოთა რუსთაველი“, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 2022 წ. შეიძინა კერძო პირისგან. ამ ნახატს დავურთავ სტატიას და, ვფიქრობ, მცირე წვლილს შევი-ტან მხატვრის ბიოგრაფიაში. ვინაიდან ის ძალიან ბევრს ხატა-ვდა, დღემდე ხდება ქალაქში მიმოფანტული მისი ნახატების მოძიება. ასევე შეიძლება სადმე იყოს შენახული მისი ლიტერატ-ურული მემკვიდრეობა. ნახატების დიდი ნაწილისა და ტექს-ტების მსგავსად, დაკარგულად ითვლება კარაპეტ გრიგორიანცის საფლავიც.  ლადო გუდიაშვილს დაუჩივლია, ფიროსმანის მსგა-ვსად, ძველი ტფილისის კიდევ ერთი თვითმყოფადი მხატვრის საფლავი დაგვეკარგაო. (ზურაბიანი, 1981) გარდაიცვალა 1943 წელს, უაღრესად დიდ გაჭირვებაში.

ი. გრიშაშვილმა 1927 წელს გამოცემულ „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემას“ დაურთო ძველი თბილისის კიდევ ერთი მემატიანე მხატვრის, ვანო ხოჯაბეკოვის მიერ შესრულე-ბული თბილისის ეგზოტიკური ყოფის ამსახველი ილუსტრ-აციები. ისტორიკოსი და ეთნოგრაფი თ. ბერიძე წერს, რომ 1875 წელს დაბადებულმა ვანომ ხატვა ბავშვობიდან დაიწყო. ვანო ხოჯაბეგოვი დაიბადა 1875 წლის 14 იანვარს თბილისში, წყარ-ოსუბანში. დედა - მელანია, შინ საქმიანობდა. მამა - გიორგი კი ხარაზი იყო. ვანოს სწავლა-განათლება ხელმოკლეობის გამო არ მიუღია. ბავშვობა თბილისში მცხოვრები უფროსი ძმის ხილ-ბოსტნეულის დუქანში გაატარა. შემდეგ ფედოსეევის ქუჩაზე საწვრილმანო დუქანი გახსნა და „როცა კი მოიცლიდა, ხატავდა მუშტრებს, თბილისელ მოქალაქეებს“ (ბერიძე,1969:5-6). ხოჯაბ-ეგოვის მხატვრობა ისეთივე ორიგინალურია, როგორც ძველი

თბილისის ყოფა. ძირითადად, ხატავდა ჟანრულ სცენებს: „ყეენობა“, „ბაირამობა“, „შაჰსეი-ვაჰსეი“... ვანოს შემოქმედებიდან ძალიან საინტერესოა „ნეფის ცეკვა მშობლების საფლავზე“... ასეთი ტრადიციაც ყოფილა, ყარაჩოღელი ნეფე მიდიოდა თავის მამის საფლავზე და ზურნაზე ცეკვით გამოსთხოვდა დალოცვას. ეს ტრადიცია მხოლოდ ვანო ხოჯაბეგოვის ნახატზეა შემორჩენილი.

ვანომ მიიქცია მხატვარ ფოგელის ყურადღება, რომელსაც 1910 წელს სკლიფასოვსკის კერძო სამხატვრო სასწავლებელში წაუყვანია. როგორც მხატვარი ჯოტო გრიგორიანი იხსენებს, „სასწავლებელში ყოფნისას ვანოს ნატურიდან ხატვა მეტად უჭირდა, მაგრამ თუ სთხოვდნენ, ზეპირად დაეხატა რაიმე, იგი დიდი ხალისით აკეთებდა ამას და უცბად, რამდენიმე მონასმით ხატავდა რომელიმე სცენას ძველი თბილისის ყოფიდან. ვანომ ვერ გაუძლო სასწავლებელში არსებულ აკადემიურ რეჟიმს და ორი თვის შემდეგ სწავლისთვის თავი დაუნებებია“ (ბერიძე, 1969:7-8). თუმცა, მის შემოქმედებას ამით არაფერი დააკლდა, ვანო ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული, საკუთარი სტილისა და ფორმის მხატვარი იყო.

ძველი ტფილისის მთელი ხიბლი და ელფერი თავის ტილოებზე გადაიტანა კიდევ ერთმა თვითნასწავლმა მხატვარმა, ვაღარშაკ ელიბეკიანმა. ვ. ელიბეკიანი დაიბადა 1924 წ. თბილისში ზეინკალ ჰ.ელიბეკიანცის ოჯახში. ბავშვობაში დაამთავრა „ჰაიარტუნის“ სამხატვრო წრე, სადაც მისი პირველი მასწავლებელი იყო პარიზში განათლებამიღებული ფერმწერი გიგო შარბაბჩიანი. იმის გამო, რომ ელიბეკიანის შემდეგი მოღვაწეობა თეატრში გაგრძელდა[134], მისი ტილოები თითქოს სცენაა, თბილისის ცხოვრება თითქოს დადგმულია. ძველი ქალაქის ატმოსფერო გადმოცემულია მოძრაობებში, პოზებში, სახის მიმიკებში. თეატრალურ გარემოში ასახულია ქალაქელების ყოველდღიურობა, კინტოების, მედუქნების, მეზურნეებისა და მექორწილეების

[134] ვ. ელიბეკიანი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თეატრს და გააფორმა ოცზე მეტი სპექტაკლი.

მონაწილეობით. როგორც ხელოვნებათმცოდნე ჰ.იგითიანი წერს, „ჩვენს წინაშე დგას გრანდიოზული ფერადი სპექტაკლი მრავალრიცხოვანი პერსონაჟებით, სხვადასხვა სიტუაციით, რომელიც იწვევს მაყურებელს, გახდეს ამაღელვებელი წარმოდგენის მონაწილე, რომლის დრამატურგი, რეჟისორი და მხატვარი არის ვაღარშაკ ელიბეკიანი. მომხიბლავი სახლები აივნებით, მყუდრო ეზოებით, მაღაზიები მხიარული აბრებით. ახალ სიცოცხლეს და სილამაზეს, ახალ მნიშვნელობას პოულობენ ვაღარშაკ ელიბეკიანის შემოქმედებაში“ (Игитян, 1979:21). ის, რასაც ვაღარშაკ ელიბეკიანი ასახავს, უფრო მეტად თბილისზე ოცნებაა, როგორიც იყო მისი ბავშვობის მოგონებებში - როცა ქუჩები უფრო ფართო იყო, სახლები უფრო მაღალი, ფერები უფრო ნათელი. ეს არის ქალაქი, რომელიც საოცარ ლეგენდად იქცა. ელიბეკიანი ამ ლეგენდას აძლევს რეალობის სახეს.

ელიბეკიანმა ხატვა 64 წლის ასაკში უსაქმურობის გამო დაიწყო, თუმცა დიდი წვლილი შეიტანა ძველი თბილისის ვიზუალური ენციკლოპედიის შექმნაში. ყველა მისი ნამუშევარი არის მოგონება მშობლიურ თბილისზე. მის ნახატებზე ვხვდებით მშაკის რედაქციასა და ავლაბრის არაქსიანის თეატრს, ჩიტების ბაზარსა და ხელოსანთა რიგებს, ქუჩის სადალაქოებსა და მაწვნის გამყიდველს, ჰარუთიუნ ელიბეკიანცის საზეინკლო სახელოსნოს...

**დასკვნა**

გრიგორიანცის, ხოჯაბეგოვისა და ელიბეკიანის სურათებზე აღბეჭდილი ძველი თბილისი აცოცხლებს მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისის თვითმყოფად სახეს, ქალაქურ ტრადიციებს, თბილისელთა სამოსსა და ქალაქურ გასართობებს: ყეენობას, ამქრობას, აშუღობას, კრივს, არიფანას, რიგისპურს, ყავახანას, ქუჩის წარმოდგენებს, სალხინო ბაღებს... თბილისელი თვითნასწავლი სომეხი მხატვრების ნაივური ნამუშევრები თბილისის სიყვარულით, მისი კოლორიტითაა ინსპირირებული, ამიტომ ისინი თბილისური ცხოვრების ერთგვარი მატიანეებია.

სომეხი მხატვრებისთვის თბილისის თემა იმდენად მრავალმხრივი და ვრცელია, რომ შეუძლებელია ერთ სტატიაში მისი თუნდაც რომელიმე ნაწილის სრულად განხილვა. სტატიის მიზანია იმის ჩვენება, რომ XIX-XX ს. თბილისელ სომეხ მხატვართა შემოქმედება ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი და კვლავ გრძელდება ნამუშევრებისა თუ ცნობების მოძიება და თავმოყრა. შევეცადე მცირე წვლილი შემეტანა ამ ძიებაში. ვფიქრობ, კ. გრიგორიანცის „თამარ მეფე და შოთა რუსთაველი“ ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მხატვრის ნამუშევრების ნუსხაში.

## ბიბლიოგრაფია


ანდრიაძე, დავით. (2014). *ტფ[თბ]ილისი - ახალი ბაბილონი = Tif[tbi]lis-i - new Babylon.* თბილისი.

ანდრიაძე, დავით. (2014-2015). *კატალოგი ძველი თფილისი. სურათები ქალაქის ცხოვრებიდან MARGINALIA.* თბილისი: სეზანი.

ბერიძე, თეიმურაზ. (1969). *მხატვარი ვანო ხოჯაბეგოვი.* თბილისი: ხელოვნება.

ბერიძე, ვახტანგ. (2018). *კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში.* თბილისი: სეზანი.

გრიგორიანცი, კარაპეტ. (2011). *ძველი თბილისის იშვიათი ამბები.* თბილისი.

გრიშაშვილი, იოსებ. (1927). *ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა.* თბილისი: სახელგამი.

ზაალიშვილი, ნინო. (2011). *სომეხი მხატვრები საქართველოში - ჰაკობ ჰოვანათანიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე.* თბილისი.

თოფჩიშვილი, როლანდ და გვიმრაძე, თეიმურაზ. (2017). *ეთნოლოგიური თბილისი თბილისელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა.* თბილისი: უნივერსალი.

რევია, დ. (1979). *მხატვარი გ. გრიგორიანი.* თბილისი:მეგობრობა 1: 240-250.

Дзуцова, Ирина. (2014). *Народное направление в грузинской Станковой живописи второй Половины XVIII-XIX веков.* Тбилиси.

Евлаховъ, И. „Заметки о Тифлисъ.“ Кавказ 23 (1846): 2-3.

Игитян, Генрих. (1979). *Вагаршак Элибекян.* Тбилиси: Хеловнеба.

Каменский, Александр. (1979). *Этюды о художниках Армении.* Ереван.

Каменский, Александр. (1979). *Этюды о художниках Армении.* Ереван: Издательство «Советакан грох».

Манукян, Сейрануш. (1991). *Вагаршак Элибекян.* Москва: Издательство «Изобразительное искусство».

ვაღარშაკ ელიბეკიანი. ყეენობა

ვანო ხოჯაბეგოვი. ნეფის ცეკვა მშობლების საფლავზე

კარაპეტ გრიგორიანცი. თამარი და შოთა